პირველადი ჯანდაცვის დონეზე არსებული სერვისებით სარგებლობის პრაქტიკა, ხელმისაწვდომობა და კმაყოფილების დონე

ლია მაჩიტიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ხელმოწერა

ლია მაჩიტიძე

თარიღი 13/06/2023

აბსტრაქტი

პირველადი ჯანდაცვა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია, რადგან მას ეკისრება ერთგვარი მეკარიბჭის როლი მთლიან სისტემაში. მისი მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა იწყება 1978 წელს ალმა-ატაში გამართული საერთაშორისო კონფერენციიდან. აღნიშნულ კონფერენციაზე საფუძველი ჩაეყარა სტრატეგიას, რომლის მთავარი მესიჯი გახლდათ „ჯანმრთელობა ყველასთვის“. საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკაა, რომ პირველადი ჯანდაცვის დონეზე ბენეფიციართა მიმართვიანობის ეფექტური პრაქტიკაა, ერთი მხრივ ჯანდაცვის სისტემის ხარჯთეფექტურობის ამაღლებისთვის, ხოლო მეორე მხრივ კლინიკურადაც უკეთესი გამოსავლების დადგომის ალბათობას ზრდის.

2013 წლიდან, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვის სისტემაზე მნიშვნელოვნად იზრდება 420 მლნ. ლარიდან 2012 წ. 1.8 მილიარდ ლარამდე 2022 წელი. თუმცა ეს მაინც ცოტაა ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების მიზანი გახლდათ მოსახლეობისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე. განხორციელებული ინტერვენციების მიუხედავად ჯერ კიდევ დაბალია საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებებში წლის განმავლობაში ამბულატორიული ვიზიტების საშუალო რაოდენობა- 3.6, მაშინ როცა ევროპაში იგივე მაჩვენებელი 6-ს უტოლდება.

მეთოდები: რაოდენობრივი კლვევის ფარგლებში მოხდა თბილისის მასშტაბით პჯდ-ს ბენეფიციართა გამოკითხვა სპეციალური თვითადმინისტრირებადი კითხვარის საშუალებით, რათა დადგენილიყო სამედიცინო სერვისებზე მათი ხელმისაწვდომობისა და კმაყოფილების დონე.

შედეგები: მიუხედავად ჯანდაცვაზე მზარდი დანახარჯებისა მოსახლეობისთვის უმთავრეს პრობლემად მაინც ფიანანსური ხელმისაწვდომობა რჩება, ასევე არასაკმარისია მოსახლეობაში პირველადი ჯანდაცვის მნიშვნელობისა და უპირატესობების შესახებ ინფორმირებულობის დონე, ამასთანავე ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგად დგინდება, რომ პრობლემატურია ან გაუმჯობესებას საჭიროებს სერვისის დროულად მიღების შესაძლებლობა და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლები.

საკვანძო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვა, კმაყოფილების დონე, ხელმისაწვდომობა (გეოგრაფიული, ფინანსური და ა.შ)